№ 147

სამშაბათი, 12 ივლისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 147

სამშაბათი, 12 ივლისი 1894

**გაზეთის ფასი:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

დამზღვევი საზოგადოება

## „ იაკორი “

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—26)

## დეპეშა

10 ივლისი

**ლონდონი.** მემკვიდრე ცესარევიჩი ოსბორნიდგან სამშაბათს დილით მიდის.

**შანხაი.** ხმაა გავრცელებული, რომ ვითომ იაპონიასა და ჩინეთს შორის ომია გამოცხადებული. ჩინელებმა იანცე-კიანგის ჩრდილოეთის შესართავები შეჰკრეს; გემები იძულებულნი არიან ვუზუნგის სიმაგრის სიახლოვეს იარონ. ჩინეთმა მოსთხოვა იაპონიას, რომ თქვენი სამხედრო ხომალდები ჩინეთის იმ ნავთ-სადგურებში, რომელშიაც ხელშეკრულობით ნება აქვთ ყოფნისა უცხო ქვეყნის ხომალდებს, ნუ შემოვლენო. იაპონიამ განუცხადა პასუხად, რომ მაგ მოთხოვნილების ასრულება არ შემიძლიან, იმას არავის დაუთმობ, რაც უფლებითა მაქვს მონიჭებულიო.

## ახალი ამბავი

*** გამოძიება პ. ვ. კორშის მკვლელობის შესახებ, რომელსაც აწარმოებდა მე-3 განყოფილების გამომძიებელი ბრალმდებელის თანამდებობის დროებით აღმასრულებლის პადალკოს ზედამხედველობით, უკვე გათავებულა 10 ივლისს. გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, შემდეგ ამ საქმეს გადასცემენ მთავარმართებლის კანცელარიაში, მთავარმართებელი უშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, დამნაშავე სამხედრო სამართალში იქმნას მიცემულიო და დეპეშითაც ნებართვა მიუღია. სასამართლოს განაჩენი წარედგინება მთავარმართებელს დასამტკიცებლად. ეს საქმე 20 ივლისამდე იქმნება განხილული სამხედრო ოლქის სასამართლოში.

*** ამ დღეებში ბ-ნ პოლიცმეისტერს რამდენიმე არზა და თხოვნა მიართვეს ბავშვების დაკარგვის შესახებ. სხვათა შორის მე 5 განყოფილებაში, პოლიციის ქუჩაზედ, ბატიაშვილის სახლში მცხოვრებმა ქვრივმა სოფიო პაპოვისამ გამოაცხადა, რომ 5 წლის ვაჟიშვილი ვანო დავკარგეო; ყმაწვილი მუხრანიანთ ქუჩაზედ დუქანში გაეგზავნათ ლურსმების სასყიდლად; მეორე ქალია ხიზანოვისაგან, რომელიც სცხოვრებს წმ. გიორგის ქუჩაზედ, და აცხადებს, რომ 14 წლის შვილის-შვილი ბ ხრო მაშნოვი დავკარგეო; მესამე არზაში აღნიშნულის 14 წლის გოგო მათიევის დაკარგვის ამბავი. ეს მათიევი განოვის ქუჩაზედ მყოფ მაღაზიიდგან სადღაც გასულა და უკან აღარ დაბრუნებულა. პოლიცია დაეძებს ამ დაკარგულ ბავშვებს.

*** ქუთაისიდგან დეპეშით გვაცნობებენ რომ ქალაქის მოურავად 21-ს ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 16 ხმისა ამოურჩევიათ ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა.

*** გორი. ბ-ნს მეტეხელის თაოსნობით რამდენმამე ყმაწვილ ქალმა და კაცმა შეძინეს შვიდასამდე ქართული წიგნები გორში სამკითხველოს დასაარსებლად. სახლიც დათმობილი აქვთ თავ. ბაგრატიონისაგან.

ამიტომ ეხლა მაინც იმედია, რომ გორის საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ საქმეს და თავის დახმარებას აღმოუჩენს ფულით თუ წიგნებით, რომ შესაფერად იყოს მოწყობილი სამკითხველო.

*** ქ. კავკავი. ეს ერთი კვირაა, რაც ჩვენში ისეთი სიცხეები დაიჭირა, რომ ღამის დაგვწვას და სახლში აღარ დაგვაყენოს, არც წვიმა ჩვენთვის, არც ღრუბლიანი დღე, რომ ცოტად მაინც არის დრო გამოშვებით გაგვაგრილოს. ზეცა არაფერს გვიგზავნის, მხოლოდ 8 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, მოგვხ და ღმერთმა, ღრუბელი წამოვიდა, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, წვიმის მაგივრად სეტყვა მოვიდა და თავს ზარი დაგვცა აქაურებს. ნახევარ საათზედ მეტი ხანი განუწყვეტლივ მოდიოდა კაკლის სიმსხო სეტყვა და ზოგი კვერცხის ტოლაც. მთელი ბოსტნეულობა სულ ძირიან ამოაგდო, ასე გასინჯით მიწაში კართოფილიც-კი წაახდინა და სხვას ამას რა ხეირს დაჰმართებდა. ხეხილი ძირს დასცა და ნახევარზე გაატიტვლა ფოთლებ-ტოტებისაგან. ფანჯრებს, შუშაბანდებს სადაც-კი მოხვდა, ერთი აღარ დასტოვა მთელი. ისეთ საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ ჟამად კავკავი, თითქო მტერი დასხმია თავს და საგანგებოდ აუოხრ-აუკლიაო.

*** დ. ოზურგეთი. (აფხ ზეთი) ჩვენს მივიწყებულ ოზურგეთსაც ეწვია ბ-ნი რატილი თავისს მგალობელთა დასით. 5 ივლისს ოზურგეს ნორმალურ სასწავლებლის სადგომში გამართული იყო კონცერტი, რომ ლისაც საკმაო საზოგადოება დაესწრო. შემოვიდა ას თუთხმეტ მანეთამდე. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა. „ვაშა“ „ვაშას“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ბ-ნი რატილი აპირებს მეორე კონცერტის გამართვასაც ოზურგეთში, და შემდეგ აქედგან მიემგზავრება ბათუმისაკენ. თუმცა წრეულს დიდი უფულობაა ჩამოვარდნილი სიმინდის ფასის დაცემისა გამო, მაგრამ კარგი იქნება ჩვენი არტისტებიც, როცა ესტუმრებიან შავის ზღვის პირად მდებარე ქალაქებს, გზად შემოივლიდნენ ხოლმე ოზურგეთშიაც.

*** 9 ივლისს სტეფანე არუთინოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ ავლაბრის ხიდიდან მყოფ დუქნიდგან 74 მან. მომპარაო. დამნაშავე აღმოჩნდა. სოფ. ახლაბედისეულის მცხოვრები ბესარიონ ეგნატეს ძე ქებუა. დამნაშავე პოლიციელმა გარსევან ბესტაფაშვილმა შეიპყრო და რამდენიმე ფული ზედვე უპოვნა.

*** 10 ივლისს პაპკოვის წისქვილთან სიღნაღის მცხოვრებელი თადეოზ ტერ-ოჰანეზოვი ბანაობდა და მტკვარმა მოიტაცა, წაეშველნენ და ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს გაჰგზავნეს სამკურნალოში და იქვე გადაიცვალა.

*** 9 ივლისს ნიკოლოზ სარქისოვი, 25 წლისა, მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. სარქისოვი თავის ძმასთან მუშაობდა ტყავის ქარხანაში რიყეზედ.

### ანგარიში

**ბაკურციხის ქართული სკოლისა $189^3/_4$ წ.**

ეხლანდელს დროში, როცა ყველა ხალხის ბედნიერება მხოლოდ სწავლა განათლებისაგან არის დამოკიდებული და როცა ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ უმეცრების წყვდიადით არის მოცული, ყველა სასარგებლო დაწესებულებათა შორის ხალხთა განათლების საქმეში უფრო ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია სასწავლებლები, რომელიც ლამპრივით უნათებს გაუნათლებელ ხალხს და მოზარდ თაობასთან ერთად აწვდის მცირეოდენს განათლების სხივს. ეხლა არავისთვის საიჭვო არ არის, რომ პირველ დაწყებითს სასწავლებელს, თუ მისი საქმე პედაგოგიის მხრივ წესიერს ნიადაგზედ არის დამყარებული და გონივრულად წარმართული, დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოების მომავალ მოზარდ თაობისათვის, როგორც გონებრივად, ისე ნივთიერად. სასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს სასარგებლო და საჭირო ცნობებს ცხოვრებისას, სცდილობს, რომ იგი მერმისში თავისის საზოგადოების სასარგებლო წევრი შეიქმნეს. ამიტომ ოდნავ შეგნებულ საზოგადოებისთვისაც

## ფელეტონი

### ქართული ენა და სილოვანი

,,კვალის“ 29 №-ში წაიკითხავდით სილოვანის წერილს: ,,გაზ. ,,ივერიის“ ლინგვისტი“. და სილოვანს ხომ იცნობთ? ეს ის სილოვანია, რომელიც ერთ დროს ასე მშვენიერად შეამკეს:

გამოცანას მოგახსენებ,
ბევრი არაფერიაო:
ერთი ვიღაც ოჩოპინტრე
დიაკვნების მტერიაო.
. . . . . . .
ან მოდგმითა მდაბიოა
და თვით არის ჩინოვანი...
ნეტა გვითხრათ: არის სადმე
ღენერალი სილოვანი?

ამ ლექსის ავტორი ამ საც უმატებს:

ასე ჩემო სილოვანო,
არ „დიაკვან“—ჩინოვანო!
ოქროის ბიბილოვანო!
დე
ციცუნ-კიკუნა პოეტი
სარკმელ ქვეშა ციცუნობდეს,
ღენერალი სილოვანი
სილოვნობდეს, ღენარლობდეს-ო.

აი ეს დიდი სილოვანი დღეს პოეზიას აღარ ჰკმარობს, თვით ქართულ ენის ცოდნაშიაც ღენერლობას ჩემულობს! იმ კილოზედა სწერს იგი თავის საგრამატიკო გამოძიებას(!), თითქოდეს ქართული ენის კანონები სალდათები ყოფილიყვნენ და თვითონ ძველი დროის ღენერალი: ნაპრავო-ს დაიძახებს და კანონები მარჯვნივ უნდა ჩამოდგნენ, ნალევო-ს— და მარცხნივ! მაგრამ ეს ცოტაა, იგი არც სალდათების ხელმძღვანელ აფიცრებს აყრის ხეირს. მათაც სტუქსავს, მიწასთან ასწორებს, უვიცებად ჰხადის. არა გჯერათ? აი მისი აღმატებულების სიტყვები:

„ვიღაც გიორგისძეს ქართული ანბანი აგერ—ახლა გაუთავებია, კალამი ხელში აუღია, მჯდარა(!!!) და გაზ. ივერიისთვის სტატია გამოუცხვია“.

„არა ვგონებ, რომ ვიღაც გიორგისძის დიპლომი ვისთვისმე სასახელო იყოს“ *).

„სამის ანუ ოთხის წლის ბალღები (აფერუმ ბალღებო!) კი ამბობენ „წელავსო“ (ვითომ წერსო) და ივერიაც ხმარობს წერამსო, მაგრამ ბალღები და „ივერია“ რა საბუთათ მოსაყვანი (მოსაყვანნი?) არიან“.

„აი, ბატონებო, რა უვიცი(!!) მჯღაბნელები (ავლაბრის სუნი!) გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზე“.

„ივერიის“ კრიტიკანი(!), ეს უჩინარი (მაშალა!) ლინგვისტი“.

„უვიცის უსაფუძვლო ნაჯღაბნი“ და სხ.

ყველა ეს მარგალიტები განა რომ აფიცრებზე გამწყრალ ღენარლის გმინვა-გოდებას მოგვაგონებს, მკითხველო! და რისთვის გამწყრალა მისი აღმატებულება ღენარალი სილოვან? მოგახსენებთ: ვიღაც გიორგისძემ როგორ თუ თავის წერილში („ენის მკვეცელებს“, „ივერია“ № 139) სხვები აქო და მე, ღენერალი სილოვანი, არაო! ჩემის მხრივ ნება დაურთველად როგორ გაბედა, რომ მოუწონა ენა ვიღაც სახოკიას, ჭარაიას, თ. სვანს, ლომაურს, ძმ. რაზიკაშვილთა, ვოლსკისა და სხ., და ჩემი აღმატებულების აღმატებული ენა-კი დაივიწყაო! აწი გიორგისძემ გვიბძანოს ლიტერატურაში მათ რა მიუძღვით, რომ მათი (მათ მათი ძაან კეთილხმოვანია, ღენარალო!) ენა ვისთვისმე საყურადღებო იყოს! შაგომ მარშ, ვინცლა გიორგისძევ!

,,კოკასა შიგან რაცა სდგას, იგი, ვე წარმოსდინდების“, ბ. სილოვან. თქვენ რომ ათასიც იძახოთ: ,,გიორგისძე უვიცია, სულელია, ბავშვია, ბალანა არის და სხ., დარწმუნდით, რომ ეს გიორგისძეს არც გაუვიცებს, არც გასულელებს და არც [illegible] იქმს. ერთი თქვენით [illegible] დიდ [illegible] უმართებულო სიტყვა, და როდესაც ჩვენ აშკარად, საქვეყნოდ დავუმტკიცეთ ამ დიდგულას მისი შეცდომა იმ საგანში, რომლის შესახებაც ამტყდარიყო კამათობა ჩვენ შორის, მან კეთილშობილება იხმარა და მეორედ აღარ განიმეორა იგივე სიტყვა. თქვენც ამ წამშივე დაგიმტკიცებთ, რომ ქართული ენა რიგიანად არ იცით, და იმ კეთილშობილსავით თქვენც მოწყალება მოიღეთ ჩვენზედ და გვესაუბრეთ ტკბილად და გვიამბეთ ამბავნი საგრამატიკონი. შეისმინეთ ჩვენი აჯა, მამაო სილოვან, და შვილებს უვიცად, უმეცრად ნუ დაგვყრით.

თქვენ ,,ზმნებს“, ბ. სილოვან, სამწუხაროდ ქართული ენის საგრამატიკო სიღარიბეში ფრიად მცირე ადგილს აკუთვნებთ. ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ. სამწუხაროდ ჩვენ და არც თქვენ სხვ [illegible] ენა [illegible].

*) რასაკვირველია, დიპლომებს მათნი აღმატებულებანი ურიგებენ და არა ვიღაც გიორგის ძე.

შენ. ასოთ-ამწყობისა

კი პირველ დაწყებითი სასწავლებლების დაარსება შეადგენს სასურველსა და სასიამოვნო მოვლენასა, მაშასადამე, უკვე დაარსებულ სასწავლებლებისათვის ზრუნვა, ნივთიერად დახმარება და შემწეობა, და გულ-შემატკივრობა სასწავლებლის ეკონომიურად უნუგეშო მდგომარეობისათვის, უნდა შეადგენდეს განსაკუთრებულს საზრუნველს საგანს ყველასათვის, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია თავის ერის მომავალი ბედნიერება, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები, რომლებიც ერის განათლების საქმეში სრულიად თანაზიარი უნდა იყოს. როგორც კერძოდ საზოგადოებისა, აგრეთვე სახელმწიფო დანიშნულება ერისითვის განათლების გავრცელების მხრივ ის არის, რომ აღზარდოს მამულისათვის სასარგებლო მოქალაქეები, გააუმჯობესოს და გააკეთილშობილოს ერის ზნეობა და აღაყვაოს მისი კეთილ-მდგომარეობა. ხალხთა განათლების საქმე, მხოლოდ მაშინ წავა წინ, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებანი ერთმანეთს დაეხმარებიან. ამიტომ ყოველივე წვლილი, რასაც-კი ვინმე მიიტანს მსხვერპლად ხალხთა განათლების საკურთხეველზედ, დიდის მადლობით და სიამოვნებით უნდა იქმნეს მიღებული ორისავე მხრივ.

კავკავის სასწავლებელი „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“ ერთი იმ მცირე, მაგრამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებათაგანია, ხალხთა განათლების საქმეში, რომელიც თავს ინახავს კერძო შემოწირულებათა მეოხებით, საქველმოქმედო საშუალებით. ექვსის წლის წინად, სანამ ეს სასწავლებელი დაარსდებოდა, აქაური ქართველი ბავშვები ძალიან იშვიათად შედიოდნენ არა თუ საშუალო, არამედ აქაურ პირველ-დაწყებით სასწავლებლებშიაც-კი, სადაც ყოველ გვარი სწავლა რუსულს ენაზედ სწარმოებს და, თუ ვინმე შედიოდა სასწავლებელში ისიც, რადგან შესაფერს წარმატებას ვერ იჩენდნენ, იძულებული იყვნენ ერთისა თუ ორის წლის შემდეგ თავი დაენებებინათ სწავლისათვის. მიზეზი იყო ერთის მხრივ ქართველ ბავშვების მიერ რუსულის ენის უცოდინარობა, მეორეს მხრივ უკიდურესი სიღარიბე და შეუძლებლობა ნებას არ აძლევდა მშობლებს თავისის ხარჯით აღეზარდათ თავიანთი შვილები, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ მომავალში საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასარგებლო მოქალაქეები შექმნილიყვნენ, განათლებას მოკლებულნი, წარმოადგენდნენ მომავალ ავაზაკებს, ბოროტ მომქმედებს. დროთა ვითარებისა გამო ყოველ გვარ შინაურს განათლებასაც-კი მოკლებული ქართველი ბავშვები, დაგლეჯილნი, დაფლეთილნი, დამწვირიანებულნი, დარბოდნენ ქუჩებში უპატრონოდ და მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, ვის რა მოვტაცოთ, ან რა მოვპაროთო. ამ გარემოებას არ შეეძლო არ დაებადნა ჩვენის ბეჩავის ხალხის განათლების გულ-შემატკივართა შორის რამე კეთილი აზრი, სასარგებლო ამ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ მომავალ თაობისა. აი, სწორედ ამ დროს დაუვიწყარის მოღვაწის განსვენებულის მ. ზ. ყიფიანის თაოსნობით „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ მთავრობის ნება-რთვით 8 ნოემბერს 1888 წელს ოფიციალურად დააარსა კავკავში პირველ დაწყებითი სასწავლებელი ქართველ ბავშვებისათვის. საგნების სწავლების დროს სასწავლებელი ხელმძღვანელობს იმ წესით, რომელიც აღნიშნულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის რჩევის მიერ გამოცემულსა და 13 იანვარს 1881 წლისას კავკასიაში ხელმწიფის მოადგილეს მიერ დამტკიცებულს სამოსწავლო გეგმაში.

„წ.-კითხვის საზოგადოებამ“ დააარსა თავის სახელობაზედ კავკავში სასწავლებელი, მაგრამ ზრუნვა იმის ნივთიერად წარმატებისათვის დააკისრა კავკავის ზოგიერთ ქართველობას, რომელთა შორის დაუვიწყარი სამსახური და ღვაწლი დასდო კავკავის სასწავლებელს განსვენებულმა მ. ზ. ყიფიანმა. განსვენებული ძალიან ბევრს ჰზრუნავდა სასწავლებლისათვის, ხმარობდა ყოველ გვარ ღონისძიებას, რომ სასწავლებელი კეთილს გზაზედ დაეყენებინა და ნივთიერად უზრუნველი გაეხადა, ამისათვის მისი პირველი აზრი იყო სასწავლებლისათვის საკუთარის შენობის აგება იმ ადგილზედ, რომელიც ქალაქმა უსასყიდლოდ დაუთმო. მაგრამ ღარიბ ბავშვების მფარველს მ. ზ. ყიფიანს არ დასცალდა თავისის ბრწყინვალე აზრის განხორციელება და 2 მარტს 1891 წელს სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს. თუმცა კავკავის სასწავლებელმა განსვენებულ მ. ზ. ყიფიანის სიკვდილის გამო დიდი დასაკლისი დაჰკარგა, დაჰკარგა თავისი უმთავრესი მფარველი და მზრუნველი, მაგრამ სასწავლებლის აქაური კომიტეტი სასო-წარკვეთილებას არ მიეცა და ერთგულად და ბეჯითად დაადგა იმ გზას, რომელსაც ადგა სკოლის საქმეში განსვენებული მ. ზ. ყიფიანი. სამზრუნველო კომიტეტს 1892 წლის ბოლოს კნეინა მართა ჭავჭავაძისას ერთგულის და ხმარებით ჰქონდა სასწავლებლისათვის სულ 6,663 მან. 82 კ.; ამან მისცა შეძლება სამზრუნველო კომიტეტს ხელი მიეყო საკუთარის შენობის აგებისათვის, რომელიც დასრულებულ იქმნა 22 ოქტომ. 1893 წ. სასწავლებლის შენობა დაუჯდა კომიტეტს 6790 მან. 37 კ. 19 დეკემბერს 1893 წ. სამზრუნველო კომიტეტმა აღირჩია სარევიზიო კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა სასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობა, იმის სასარგებლოდ შეკრებილის ფულის ხარჯი დასაწყისიდგან 1894 წ. 1 იანვრამდის. კომისიას შეადგენდნენ კომიტეტის წევრები: ს. ი. პოპოვი, ა. პ. სარაჯიშვილი და ნ. ი. ფხაკაძე, რომელთა ანგარიშიდგანაც სჩანს, რომ 1888 წ. 14 მაისიდგან—1894 წ. 1 იანვრამდე სხვა-და-სხვა წყაროდგან შემოსულა სასწავლებლის სასარგებლოდ სულ: 15,310 მ. 49 კ., დახარჯულა 14,781 მ 42 კ., დარჩენილა 529 მ. 7 კ. ს. დ. ყაზბეგისათვის, რომელიც განაგებდა სასწავლებლის სადგომის აშენების საქმეს და რომელსაც, კომისიის შემოწმებით, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში, არ მიუციათ 672 მ. 91 კ., ძმ. გოზალოვებისათვის 371 მ. 36 კ., სულ 1044 მ. 27 კ. იყო ნაღდად 529 მ. 7 კ. მაშასადამე ვალად დარჩენილი ყოფილა 523 მ. 20 კ. ამნაირად 1 იანვარს 1894 წ. სასწავლებელს არა თუ არა ჰქონდა-რა სახსარი არსებობისა, არამედ ვალიცა სდებოდა 515 მ. 20 კ. 1894 წ. 1 იანვრიდგან—1 ივნისამდე შემოსულა სასწავლებლის სასარგებლოდ საწევრო ფულიანად სულ 545 მან., დაიხარჯა 512 მ. 18 კ., მაშასადამე 1 ივნისს სასწავლებელს ჰქონდა 482 მ. 38 კ. ვალი.

ამ ეკონომიურად უნუგეშო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია წელს მისმა აღმატებულესობამ თერგის ოლქის უფროსმა, რომლის შუამდგომლობის წყალობითაც ნებართვა მიეცა კომიტეტს სასწავლებლის სასარგებლოდ საერო სეირნობისა და ლოტარია-ალეგრის გამართვისა. სეირნობა გამართული იქნება 21 ავვისტოს.

სანგარიშო წელს სასწავლებლის შენობის აგების საქმეში დახმარება აღმოუჩინეს ფულითა და მასალის შემოწირულებით დ. ზ. სარაჯიშვილმა და ი. გ. მოზდოკელოვმა, თითოეულმა გაცმა 300 მ; დ. ზ. სარაჯიშვილმა შემოსწირა აგრეთვე რამდენიმე რკინეულობა და აღუთქვა ყოველ წლიურად 100 მანეთი, ძმ. გოზალოვებმა—200 მ. გრ. მოზდოკელოვმა, სტ. პოპოვმა და ი. გ. შვილევმა თითოეულმა 100 მ., მოსე გელანდარიშვილმა—80 მან., ქ. გ. სიდამონერისთავმა—60 მან., ნ. ბალანჩივაძემ და ტ. ზ. გახაძემ—თითოეულმა 50 მ. ზ-ნმა—ტ. გახაძემ შეკრიბა და გამოგზავნა ქუთაისიდგან აგრეთვე 71 მან. მიხაილ პავლეს მე ჯაფარიძემ—50 მ., ამანვე შეკრიბა ყიზლიარში თავის ნაცნობთა შორის 130 მ. და გამოუგზავნა კომიტეტს; იყიდა მოსწავლეებისათვის 10 სკამი, ღირებული 86 მან., გამგეობმა სამმართველოდგან შემოვიდა 61 მ., 22 კ. ს. ს. გულიკოვსკისამ, ს. დ. ყაზბეგმა—თითოეულმა—30 მან., დ. ჯაფარიძემ, კნ. მ. ჭავჭავაძისამ, ა. გ. ჭავჭავაძემ, ი. ჩითაევმა, პ. გობასიძემ, დ. გ. ხარაძემ, ზურდულმა თითოეულმა—25 მ., ა. აფრიამოვმა, გ. ბარათაშვილმა, ნ. მაჩავარიანმა, მ. მარკოზოვმა, დ. მაჩავარიანმა, ი. უშვერიძემ, ზ. სხირტლაძემ, მ. ჩითაშვილმა, დ. შავთვალიშვილმა, ი. ღუდუშაურმა, ა. პ. სარაჯიშვილმა სტ. ორბელიშვილმა თითოეულმა 20 მ., გარაყანიძემ—17 მ., ილია მოსულიშვილმა და ალ. თ. სარაჯიშვილმა—თითოეულმა 15 მ., ალ. დიდებაშვილმა, ივ. დავითაშვილმა ნ. ჭიჭინაძემ, დ. ზუბედევმა, ანტ. ბეჟანიშვილმა, კონსტანტინე (ლევან) სოლომონის ძე გვარამაძემ, ხარულავამ, მაჩველაძემ, ა, ბაქრაძემ, გოდერძიშვილმა და თეთრაძემ—თითოეულმა 10 მან., ლომიძემ—6 მან., ა. გედევანიშვილმა, ივ. მრევლიშვილმა, აკოფაშვილმა, ტატუზოვმა, მამულაშვილმა, ბარონ-ალექსეიმ, ვოლოჟევიჩმა, ლავრენოვმა, მიშჩერეკოვმა, მარტყოფელიშვილმა, ზარიძემ, დ. ჯაჭვაძემ და საზენოვმა—თითოეულმა 5 მან., ზ. ლაკაზიშვილმა დ. თამარიძემ, თ. ახალაშვილმა, ნარიმანოვმა ბ. ევანგულოვმა, ძმ. სიმონოვებმა, ახნაზაროვმა, სომხიევმა, ივ. მამულოვმა, ტერტეროვმა, ასკეროვმა და ჩერნიავსკიმ—თითოეულმა 3 მან., დ. ბახუტოვმა, ი. ხუმაროვმა, ასლანიშვილმა, ნუბაროვმა, ხუმაროვმა, ტერ-ასატუროვმა, ვოლოჟევის მეუღლემ და ათაბეგოვმა—თითოეულმა 2 მ., თითო მანეთი შემოსწირეს: ი. ქუმსიშვილმა, ათენოვმა, შეკოროვმა, უსტანოვმა, გაბელოვმა, ზალინოვმა, ისაკოვმა, ოთაროვმა, მალიუშინსკიმ, აკაქოვმა, თეიმურაზიშვილმა, დზახოვმა, მოროზოვმა, ოვრიდონოვმა, პომოვსკიმ, კატაალიმა, ბაქსიევმა, მარზაგანოვმა, ილინნემ, ოსიფოვმა, ტერ-ოღანოვმა თ. ღუდუშაურმა, რ. მესხიშვილმა და დარჯელოვმა. ლამბაროვმა—50 კ. სასწავლებლის კურთხევის დღეს შემოვიდა სულ 195 მან., 45 კ. სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულ ხელის-მოწერიდგან სანგარიშო წელს შემოსულა სულ 2118 მ. 36 კ.

როგორც „წერა-კითხვის საზოგადოების“ უწყებაში მყოფ ყველა სასწავლებელში აქაც სწავლა გრძელდება ოთხს წელიწადს. სასწავლებელი შესდგება ოთხის განყოფილებისაგან, რომელშიაც მეცადინობს ორი მასწავლებელი. განათლებულ ქვეყნებში—დასავლეთ ევროპას და ამერიკაში პირველ დაწყებითი განათლების მისაღებად საერო სასწავლებელში ვადად დადგენილია 6—9 წელიწადი, მაგრამ იქ პირველ დაწყებითი სკოლების საგანი და გამოცანა უფრო რთულია, ვიდრე რუსეთისა და ჩვენში რუსეთის პირველ-დაწყებით სასწავლებელს დავალებული აქვს მხოლოდ წერა-კითხვისა და ელემენტარულ ცნობების მკვიდრად შესწავლა და ეს-კიო, ამბობდენ, სამ წლის განმავლობაში შეიძლებაო. ოც-დახუთ წელიწადზე მეტი იქმნება მას აქეთ, რაც ამ ნაირი კანონი გამოიცა რუსეთში პირველ-დაწყებით სასწავლებლების შესახებ; ამდენის ხნის გამოცდილებამ დღეს ნათლად დაანახვა ბევრს, რომ სამი წელიწადიც გონიერ წერა-კითხვისა და საჭირო ცნობების შეძენისათვის ცოტა არის, ამიტომ ეხლა რუსეთშიაც ბევრგან სამის წლის მაგიერ, ოთხ-წლიანი სასწავლებელი არსდება. ჩვენში, რადგანაც რუსულის ენის შესწავლა სავალდებულოა, სასწავლებლის მოვალეობა უფრო ვრცელი და რთულია რუსულის სკოლებთან შედარებით, ამიტომ, თუ გვინდა, რომ ყმაწვილებმა ცოტად თუ ბევრად რიგიანად შეითვისონ როგორც წერა-კითხვა, აგრეთვე ისეთი სასარგებლო და საჭირო ცნობები, რომელსაც შეუძლიან არსებითი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებასა, აუცილებლად საჭიროა, რომ ერთ-კლასიან სკოლებს ოთხი წლის კურსი ჰქონდეს.

საანგარიშო წლის განმავლობაში კავკავის ქართულ სასწავლებელში

---

ბ. სილოვანი სწერს: აღიარებული შეცდომაა, აღიარებულის მაგიერ უნდა ითქვას აღსარებულიო, ზმნიდან აღსარება-ო. გამოდის, რომ ზმნები აღიარება და აღსარება ერთი და იგივე ყოფილა! ბ. სილოვან, ეს ზმნები ქართველ კაცს ასრე ესმის: „აღვიარება, მართლის სარწმუნოების თქმაა“, ხოლო „აღსარება მღვდელთან თავის ცოდვის თქმაა“. თუ თქვენ სხვანაირათ გეყურებათ, ნუ დაიკრძალავთ გულსა შინა თქვენსა და ჩვენც მაგალითებით შეგვასწავლეთ მართალი.

ჰკრეხავს, ჰზელავს-კი არ უნდა იყოს-ო, არამედ კრეხს, ზელს. აბა რომელი ქართული ენის მცოდნე იტყვის ზელავს-ო. აპა, მართლაც, რომ თქვენ დღემდის ვერ გაგირჩევიათ ზმნები: წერა და წერვა, ზელა და ზელვა, ტეხა და ტეხვა, კრეხა და კრეხვა და სხ. და ხმამაღლა-კი ლაღადებთ სხვის უვიცობის შესახებ! ბატონო, ჩაიხედეთ იმავე თქვენ მიერ დასახელებულ საღმთო წერილში და შეიტყობთ მაშინ, რომ ზელა სხვაა და ზელვა სხვა. ამის მაგალითები:

1) ვ-ზელ, ჰ-ზელ, ზელ-ს; ვ-ზელ-დი; ვ-ზილ-ე.

2) ვ ზელავ*), ჰ-ზელავ, ზელავ-ს; ვ-ზელავ-დი; ვ ზილ-ევი.

„მართალი თუ გნებავთ, უფრო კანონიერია მიცა და არა მისცა“-ო. რა ვქნათო, რომ სიტყვა ორ-აზროვანი გამოდისო და სხ. საზოგადოდ ს-ს და ჰ-ს შორს გაურბის ჩვენი გრამატიკოსი და გადაჭრით ბრძანებს: „ჩვენ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჰ-ს ქართულ ზმნებში ადგილი არა აქვს, განსაკუთრებით, დღეს, როცა მისი გამოთქმა ენას ეძნელება და ყურს ეჩოთირება“ („კვალი“, № 14).

აი ამის მქადაგებელიც სხვებს უკიჟინებს ენის უცოდინარობას! გამოდის, რომ დღეის შემდეგ სილოვანის „კომანდით“ უნდა ვწეროთ, სახელდობრ: მიყო და არა მიჰყო, დაყო და არა დაჰყო, მიცა და არა მისცა, მიდგა და არა მისდგა, და სხ. სჩანს, რომ ავტორს სწორედ თვითონ არა ჰქონია (ქონია ხომ ქონი გამოდის, ბ. სილოვან!) წაკითხული ძველი წიგნები და არც ხალხური ენა სცოდნია და არც ენის კანონები.

ძველს წიგნებში ასე სწერია, ბატონო: ჰყავს (ფს. 9, 4), ჰყო (4, 3), ჰსთქვან (4, 6), აღჰსდეგ (3, 7), ჰმონეთ (2, 11), ჰხედავს (137, 6), ვჰსთქვა (138, 11), მჰსწავლოს (140, 5), მოსთქვან (144, 7).

სწორედ ასრევე ეს სიტყვები გვესმის დღეს სამ-მა-პაპეულო ენაზედ და, წარმოიდგინეთ, მკითხველო, თვით სახელოვან სილოვანის ნაწერებშიაც ეს ჰ და ს ყოველთვის არ არის დევნული.

გავშინჯოთ ახლა ენა-მზეობა სილოვანისა.

ჰ-ს სილოვანი ჰხმარობს სიტყვებში: ყავდეს, ჰქვია, ჰქონდეს („კვალი“, № 18, გვ. 7), ხელი მიჰყო (იქვე გვ. 9), ჰძლიოს (№ 20. გვ. 11), ჰჩანს (გვ. 12).

ეს სილოვანი, წარმოიდგინეთ, მე № 29-ში გაარჩევს რა ილ. ჭავჭავაძის ნაწერებს, ამბობს: ნეტა აგვიხსნიდეს (აგვიხსნიდენ უნდა, ბატონო) ან თვით ავტორი ან მისი გამომცემელნი, თუ რათ იწერებიან ზმნები ჰლხინობს, ჰხედავს ჰ-თი?

ს-ს სილოვანი არ ჰხმარობს: წარმოთქვა (წარმოსთქვა-ს მაგიერ), ცოდნია (სცოდნია-ს მაგიერ. ცოდნია არსებითი სახელია, ბატონო: მაგ. არვიცია, ჯგუშია და სხ. („კვალი“, № 18, გვ. 7), ქონდა (გვ. 8. მე-7 გვერდზედ-კი სწერს ჰქონდეს!), ყავდესო („კვალი“ № 20. მე № 18-ში-კი სწერს ჰყავდეს!), შედგება (№ 19, გვ. 5), შთამოძახედნენ, ვთქვათ (№ 29, გვ. 12, 14) და სხ.

ს-ს სილოვანი ხმარობს: სწირავს (№ 18, გვ. 7), ასტეხა (გვ. 8), სჯაბნობს, გასტანოს (№ 20, 11).

მიცა უნდა-ო და წარმოიდგინეთ № 26 ში-კი სწერს „ხმელეთს მისცე რამე ვნება“ (გვ. 6).

„კვალის“ მე № 29-ში სილოვანი ამბობს, რომ ილ. ჭავჭავაძე ხშირად ხმარობს ამ გვარს უკეთილხმოვანო შემოკლებას სიტყვებშიო: ვისც, სადც, შენმ და სხ. „ნუ თუ ამისთანა... უმსგავსი ფორმები სასოებას არ დაუკარგავს ყველას: ვინცა ისმენს კაცი ვარგი“-ო! („კვალი“, № 29, გვ. 12).

*) ამ გვარივე ნიმუში სილოვანის ნაწერში: „უნდა სხვისი თელვა“ (კვალი № 26, გვ. 6). თელვა და თელა.

სწავლობდა 69 მოწაფე ქალი და ვაჟი. პირველ განყოფილებაში იყო 35 მოსწავლე (22 ვაჟი და 13 ქალი); მე-II-ში—15 (10 ვაჟი და 5 ქალი); მე III-ში 12 სულ ვაჟები და მე-IV-შიაც—7 ვაჟებივე. წელს „წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობის მიერ კავკავის სასწავლებლის დათვალიერება მინდობილი ჰქონდა თერგის ოლქის საერო სასწავლებლის ინსპექტორს ა. ბ. ჭიჭინაძეს, რომელმაც მაისში ორჯელ დაათვალიერა სასწავლებელი, გამოსცადა მოსწავლეები და შეჰკრიბა საჭირო ცნობები. წლის ბოლოს მხოლოდ წერის ეგზამენები გვქონდა; მოსწავლეების ნაწერები გაეგზავნა „წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობას. გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში: I-დგან მე-II-ში 32, დარჩა 3; მე-II-დგან მე-III-ში 14, დარჩა ერთი. მე-III დგან მე-IV 9, დარჩა 2 და ერთმაც თავი დაანება სწავლას შუა წელიწადს.

2 ივნისს კავკავის ნიკოლოზის სამოქ. სასწავლებლის მასწავლებლის ბერესლავცევის თავმჯდომარეობით შედგენილ იქმნა კომისია სკოლის მასწავლებლებისა და კავკავის საკათედრო ტაძრის დეკანოზის მ. მოროზოვის მონაწილეობით; კომისიამ კანონის მიხედვით გამოსცადა მეოთხე განყოფილების მოსწავლენი ყველა საგანში წერითა და ზეპირად; გამოცდის შემდეგ ღირსად სცნო და დაადგინა, რომ მეოთხე განყოფილების ყველა მოსწავლეს მიეცეს სამხედრო ბეგრის საშეღავათო მოწმობა, რომელიც მოხსენებულია სამხედრო დებულების მე-56 მუხლის მე-4 პუნქტში. ერთი მათგანი, რომელმაც წელს დაასრულა სწავლა კავკავის სასწავლებელში (ივანე გახოკიძე), მიიღეს წელსვე კლასიკურ გიმნაზიის პირველს კლასში. წარსულ წლებში სწავლა დამთავრებულთაგანნი—ერთი სწავლობს გიმნაზიის მესამე კლასში, ორი ლორის-მელიქოვის სახელოსნო სასწავლებელში და სამიც ნიკოლოზის სამოქალაქო სასწავლებელში. სულ დღემდის კავკავის ქართულს სასწავლებელში კურსი დაუსრულებია 17 მოსწავლეს და მიუღიათ სამხედრო ბეგრის საშეღავათო მოწმობა; სულ სასწავლებელში 6 წლის განმავლობაში უსწავლიათ 111 მოსწავლეს. ამათში, ვისაც სწავლა დაუმთავრებია, მაგრამ სხვა სასწავლებელში არ გადასულა, ან ვისაც ქართულ-რუსული წერა კითხვა შეუსწავლია და შემდეგ სწავლისათვის თავი დაუნებებია, თითქმის სულ ყველა ვაჭრობის საქმეს მისდევს, ან მაღაზიებში არიან ნოქრებად და ან ხელოსნებთან შეგირდად.

საზოგადოდ მთელის წლის განმავლობაში მოსწავლეები ხალისით დადიოდნენ სასწავლებელში. ვერც სიცივე აბრკოლებდა და ვერც ცუდი ამინდი, მხოლოდ ხანდისხან სასწავლებელში წესიერად სიარულს ხელს უშლიდა შინაური გარემოება, მახლობლების ავადმყოფობა და აგრეთვე სიღარიბე თბილის ტანისამოსისა და ფეხსაცმელის უქონლობა.

(დასასრული იქნება)

## კორესპონდენცია

**ს. ჩოჩხათი** (გურია), 28 ივნისი. ჩოჩხათის საზოგადოებაში 600 კომლამდე მცხოვრებია. დიდი ვაი-ვაგლახი გამოუცდიათ ამ სოფლის მკვიდრთა უკუღმართ ვარსკვლავზედ დაბადებულ-ქარაფშუტა ვაჟბატონების შეუბრალებელის საქციელისა გამო. ეს ვაჟბატონები მთელს სოფელს ანადგურებდნენ; მუშა მშრომელს ხალხს ხელიდგან აცლიდნენ უღელო ხარს, ძროხას, ცხენს და სტოვებდნენ ღვთის ანაბარად თვალ-ცრემლიანებს. მოვიდა ოზურგეთის ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია თუ არა, მთელს მაზრას ფერი ეცვალა და მშვიდობიანობა დაეტყო. ამ საზოგადოებიდგან მოითხოვა 24 კეთილ-საიმედო კაცი და გამოუცხადა: ვინც-კი არის თქვენში უქმი, ცუდი, შემაწუხებელი, ბოროტ-მოქმედი, თავადია, აზნაური, თუ გლეხი, განაჩენი შეუდგინეთ, წარმომიდგინეთ და მე მოვაშორებთო.

ამ ერთის კვირის წინად ფოთში შეამწყვდიეს ერთი აქაური ყმაწვილი კაცი საჯინიბოში საიდანაც ცხენის გაპარვას აპირებდა, მიასწრო ბოქაულმა კახიძემ და ლაზათიანად გაბაწრა. ზედ აღმოაჩინეს რაღაც ყალბი ქაღალდები: დაუწერელი ბეჭდიანი. აქედგან ისევ წარმოადგინეს ამავე საზოგადოებაში. როდესაც მოიყვანეს სასამართლოში, მამასახლისმა სამწერლო ოთახში დააბინავა ეს ბატონი და მცველები დაუყენა,—თითონ-კი ტკბილს ძილს მისცა თავი. დილით ტუსაღი აღარსად იყო. მცველებმა განაცხადეს, დავძინებოდა და გაპარულიყოო. მესამე დღეს ეს ყმაწვილი მიბრძანდა მაზრის უფროსთან და თავის შებრალებით უთხრა: უბრალოდ მტანჯავს საზოგადოება და მიპატიეთო, მაგრამ მაზრის უფროსმაც ისევ თავის საზოგადოებაში გამოგზავნა, და აღუთქვა: თუ არაფერი დანაშაული არ აღმოგაჩნდება, საზოგადოებას შეგარიგებო. მაგრამ დანაშაული ბევრი მიუძღვის, თხუთმეტი ცხენიც იყო წარმოდგენილი იმის ხელით შეძენილი და მოწმობას სთხოვდნენ, მაგრამ ის ამბობდა, ზოგი ნაჩუქარი მყავს, ზოგი-კი სახლში გაზრდილიო.

14 ამ ივნისს მაზრის უფროსის განკარგულებით სუფსის სადგურზედ მთელი საზოგადოება იყო მოწვეული ამ ამბის გამოსაძიებლად. ამ დროს ეს ყმაწვილიც აქ ბრძანდებოდა, ღვინით იყო შეზარხოშებული, და დიდად ემუქრებოდა საზოგადოებას, ჰლანძღავდა, ერთ მათგანს ორი სამი სილაც აჭამა. დაიჭირეს, ხეზედ აკრეს, განაჩენი შეუდგინეს და მაზრის უფროსს მიჰგვარეს. 400-მდე კაცი თან მიჰყვა. მაზრის უფროსს გამოუცხადეს: ან ჩვენ გადაგვასახლე ამ საზოგადოებიდ ან და ან ეს ვაჟბატონიო.

სუფსის ერთი სტუმართაგანი

**ვარჩნაძიანი** (კახეთი). როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოდ კახეთი მდიდარია ბუნებით, მაგრამ ბუნება თვით აბა რას მოგვცემს, თუ გონიერი და შესაფერი შრომა არ დავანათლეთ. ს. ვარჩნაძიანის ბუნებაც მდიდარია, ნიადაგიც ერთი უპირველესთაგანია; მაგრამ უწყლოობა, ეს საერთო სენი მდ. ალაზნის მარჯვნივ მდებარე სოფლებისა, ძლიერ უშლის ხელს სიმინდისა და ბოსტნეულობის მოყვანას. სასმელადაც და სარწყავადაც ერთი ხევია, რომელიც მკათათვის სიცხეებში თითქმის სულ შრება, და არამც თუ ბაღ-ბოსტნები ოხრდება უწყლოობით, არამედ თვით მცხოვრებნიც იძულებულნი არიან სასმელი წყალი სამისა და ოთხის ვერსის სიშორიდგან მოიტანონ.

რა ჰქნას სოფელმა, როცა თვით ბუნებას არ მიუცია სოფლისთვის წყალიო? იკითხავს მკითხველი. არა, წყალი გვხლავთ, მაგრამ ჩვენის უთავბოლობით ჩვენის დაუდევრობით ისეთი მდინარეობა ვერ მიგვიცია, რომ სარგებლობა მოგვეტანოს. ვარჩნაძიანს კარგა მოზრდილი მთა აკრავს ზურგზედ ამ მთაში ბევრი მშვენიერი წყაროებია; მაგ. ერთს ძველ, შესანიშნავ ეკლესიის, ყველაწმინდის, ქვემოთ ისეთი მშვენიერი ცივი და მოზრდილი წყარო გამოქუხს მიწიდგან, რომ სასმელად თუნდა ოცს სოფელს გაუწვდება, თუ შესაფერს და სასარგებლო გზას გავუკეთებთ. მაგრამ წყარო თავისთავის ჩუხჩუხებს და ჩვენ ჯერ კიდევ ხევის წყალსა ვსვამთ, რომელიც ბევრს სენს ავრცელებს. სხვა არა იყოს რა ავდრიან დღეებში კაცი ან უნდა წყურვილით მოკვდეს, ან ოთხის ვერსის სიშორეზედ უნდა წავიდეს, თუ მღვრიე წყლის დალევა დაეზარა. ზემოხსენებულ ვარჩნაძიანისავე მთაში სამი თუ ორი პატარა ტბა არის და როცაამ სამ ტბაში წყალი ჩადის, ერთად რომ მოვაგროვოთ, და სოფლისკენ მივუგდოთ გზა, თავის დღეში არც სიმინდი და არც ბოსტნეულობა ისე არ ამოიხრუკებოდა, როგორც ბევრჯელ გვალვის დროს მოსდის.

აი, ეხლა აქეთ ოთხ-ხუთს სოფელში საშინელი წითელა მოდებული. მართალია, წითელა გადამდები ავადმყოფობაა, მაგრამ ამ სენით ავადმყოფსაც გაფრთხილება, მოვლა უნდა, აქ კი სიღარიბის გამო არც კარგი საჭმელია, არც შესაფერი სისუფთავეა და არც სასმელი წყალი. პირველად წითელას ადვილად ხდილობდნენ, მაგრამ ამ ბოლო ორ კვირაში ძალიან გაძნელდა ასე, რომ მარტო ს. ვარჩნაძიანში თხუთმეტამდე ბავშვი იმსხვერპლა და კიდევ ბევრს იმსხვერპლებს, თუ შესაფერი ღონისძიება არ იქნება მიღებული, ვისგანაც ჯერ არს. ვიმეორებ, ეს სენი ასე მძვინვარებს და ჩვენის სოფლის მოხელენი-კი ყურს არ იბერტყავენ და არ ატყობინებენ მაზრის უფროსს, რომ რაიმე განკარგულება მოეხდინა ამის შესახებ. იმედია ეხლა მაინც მიაქცევენ ამ სენს ყურადღებას და რაიმე ღონისძიებას ღმოუჩენენ. ს. ვარჩნაძიანს, შაშიანს, კალაურს და სხვებს, თორემ როგორც მოგეხსენებათ, გლეხი კაცი ვერ შეიძლებს თელავიდგან ფერშლის მოწვევას და წითელა-კი მუსრს გაავლებს ხალხსა. აი ეხლაც ამბავი შემოიტანეს, ორი ბავშვი კიდევ გარდაიცვალა წითელისაგანაო. მამასახლისის ერთ მოვალეობათაგანი ისიც არის, რომ მაზრის უფროსს შეატყობინოს, თუ სოფელში რაიმე სენი გავრცელდა, მაგრამ ჩვენში კი თუნდა სოფელი დაილიოს ყურის მგდებელი არავინა ჰყავს.

ძალიან სამწუხარო მოვლენაა, რომ აქეთ, ვარჩნაძიანის მხრისკენ, სოფლებში მამასახლისები უსწავლელნი არიან, წერა-კითხვაც არ იციან, რაიც, ჩემის ფიქრით, სოფლის მოხელისთვის ეხლანდელ გალუსტ-კარაპეტების ფარფაშობაში ფრიად საჭიროა, თუ გვინდა მათმა მელ-კუდობამ პირში ჩალა გამოვლებული არ დასტოვოს ბევრი გლეხ-კაცი. ერთი სასწავლებელი არა აქვს ამ სამ-ოთხს სოფელს, სადაც, წერა-კითხვის გარდა, ცოტა რამ სასარგებლო ცოდნის შეძენა შესძლებოდათ აქაურებს. მართალია, სამრევლო სასწავლებელი არის, მაგრამ ჯერ ერთი თითო ამ გვარ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი ათ-თხუთმეტს არ ასცილდება და მეორეც ისინიც, ვინც სწავლობენ, მალე ისევ ანებებენ თავს და ძროხაში, მუშაობაში ივიწყებენ იმასაც, რაც-კი შეიძინეს იქ ყოფნის დროს. ვარჩნაძიანში-კი ამ გვარი სასწავლებელიც არ არის. მართალია, ადგილობრივი მღვდელი ბევრს ცდილობს, ბევრს ელაპარაკა მამასახლისს თუ გლეხ-კაცებს სკოლის საჭიროების შესახებ, მაგრამ არ იქნა პირჯვარი ვერ დაწერინა და ერთი ძველი შენობა ვერ შეასწორებინა სასწავლებლის სადარბაზოდ. ერთხელ მასალაც მოიტანეს: კირი, აგური, ქვიშა შენობის შესაკეთებლად, მაგრამ ეს მასალა ზოგი ავდარმა გააფუჭა, ზოგიც წაიღეს წამოიღეს და ეხლა სულ აღარ გახლავთ.

ვერც გზების სიკეთეს დაიკვეხებს ვარჩნაძიანი. ერთი რიგიანი გზა არ არის, რომ ან ჩახრამული არ იყოს, ან ღრიყით ნაქცევი. ავდრიან დღეს ხომ შინიდან გარედ არ გაესვლება კაცსა.

ვენახებს მშვენივრად ასხია და ღვინო ხომ ერთი უპირველესთაგანი საცხოვრებელი წყაროა კახელებისთვის. პურის მოსავალიც შუათანაა, თუმცა ბევრს ყანას-კი ერთნაირი ბალახი აქვს მოდებული, რომელსაც „ფშკრიალს" უწოდებენ, მაგრამ ისე-კი არ არის აქ მოდებული, როგორც სხვა სოფლებში, მაგალითებრ, ნახმხარსა, ხოდაშენსა, კისისხევში და სხვ... ყანები გადათიბეს, რადგან სულ „ფშკრიალი" დ[illegible] იყო [illegible] პირი უჩანს, თუ [illegible].

ვ. ვარჩნაძიანელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Харьк. Губ. Вѣд." დაწერილია: მცველებად, ზედამხედველად და ათის თავებად არიან დანიშნულნი განსაკუთრებით თერგის მხრის „კავკასიელნი" ჩერქეზნი. ჩერქეზები არა თუ

---

და ესვე სილოვანი, თვითონაც მის მიერვე დაწუნებულ ფორმას ხმარობს:

„მიყვარს მე ზღვა, მაშინც (!) მიყვარს" („კვალი", № 26, გვ. 7, 1 სვეტი).

ესეც მეცნიერებაა რაღა, ეს არევ-დარევა და სრული უცოდინარობა ზმნებისა, იმ ზმნებისა, რომელსაც სილოვანმა შესწირა მთელი თხზულება—„ზმნები".

მაგრამ ეს ცოტაა. ბატონ გრამატიკოსის სწორმეტყველებაც ხშირად საკმაოდ ჰკოჭლობს.

ა) რომელმე (!) სახელოვან მწერალს თუ რამე დაუწერია (რომელიმე ანუ რომელსამე უნდა!) („კვალი", № 18, 7).

ბ) მის (!) თავის მოკვეთის შემდეგ (მისი უნდა, რადგან მის ნაცვალსახელია პიროვნებითი, ხოლო მისი კუთვნილებითი).

დ) ლექსით „ფშავლის მთებს" პოეტი ეთხოვება თავის სამშობლო მთებს. გულის სატრფიალოს საგნის მოშორება (საგნისაგან განშორება უნდა, რადგან პოეტმა მთები-კი არ მოიშორა, არამედ მათ თვითონ განშორდა).

ე) 1857 წელში ი. ჭავჭავაძეს ახლად ახლად აღებული ჰქონდა ხელში კალამი (ასრე უნდა ითქვას ქართულად: 1857 წელს (როს და არა რაში?) ი. ჭავჭავაძეს ხელში კალამი ალბად ახლად ჰქონდა აღებული).

ვ) უბრალო მომაკვდავსაც არ მოესმება (?!) სიმღერათ (რასა სწერთ, რა არის მოესმება? მოესმება ხელი თავზე, ცხვირზე, ხოლო მოისმის სიმღერა და სხ.).

არა კმარა?!

ყოველ ამის შემდეგ ბ. სილოვანი გამოდის და უეცარს გვეძახის, ბაღანას, ანბანის უცოდინარს და ისეთს საგნებს ეხება, რომელიც მას ჯერ თითონაც რიგიანად გამორკვეული არა აქვს.

განა რა იყო საჩხუბარი და თავ-სამტვრევი? უბრალო სავანი: მისცა მისცად უნდა იწერებოდეს მეთქი და არა მიცა-დ. ბ-ნმა სილოვანმა ამის შესახებ ვერავითარი საბუთი ვერ წარმოადგინა, იმის მეტი, რომ მის აღმატებულება ღენერალივით გვიბრძანებს: უფრო კანონიერია მიცა სწეროთო. სამართლიანობა-კი მოითხოვდა, რომ, თუ რაიმე საბუთი არა ჰქონდა სილოვანს, იგი თავისთვის ყოფილიყო. მე იმისთვის-კი არ ავძარი კითხვა, რომ დიდი მეცნიერი შამეწუხებინა არამედ მისთვის, რომ „კვალის" გონიერ და ჩემ მიერ დიდად პატივცემულ წინამძღოლებს თავის მხრითაც გამოერკვიათ ეგევე კითხვა. ერთობა სამწერლო ენისა აერთებს თვით ერსაც. ჩვენი გვარ-ტომი ჯერ იმდენად მჭიდროდ შეკავშირებული არ არის, რომ სამწერლო ენის არევ-დარევამ თვით ამ გვარ-ტომის შებოჭვა-შეკავშირება-შეჯგუფების საქმესაც არ ავნოს. ეს იყო ჩვენი აზრი და მიზანი და სხვა არა-რა. ჰ-ს და ს ს ხმარება თუ არ ხმარება არა ახალი ამბავია, არამედ ძველი. ეს კითხვა პირველად აღძრა პატივცემულმა ი. გ. ჭავჭავაძემ პირველსავე წელს „ივერიის" გაზეთად გამოსვლისა. მას აქეთ თქვენ, ბ. სილოვან, ვერ შეგისწავლიათ უკვე აღძრული კითხვა და დღესაც იმასვე გაიძახით, რასაც ამბობდნენ 1886 წლის დამდეგს.

დასასრულ აქვე მოვიყვან სიტყვებს თვით ბ. სილოვანისას: „ჩვენში დღეს არსებობს კრიტიკის ორი უკიდურესი მიმართულება: ერთი—უზომოდ გუნდრუკის მკმეველი, მეორე—უზომოთ (ან უზომოთ იხმარეთ ან უზომოდ) მკიცხველი და უარმყოფელი.

თუ ეს წმინდა გულით შენიშნეთ, მაშ ჩემი გაქილვა რაღად მოინდომეთ, ბ. სილოვან! რა დავაშავე, ვის რა „ლუაწლები" მოვტაცე? მართლაც და, ჩვენში როდის ჩადგება კრიტიკა კრიტიკის კვალში? როდის გველირსება საქმიანი განსჯა საკამათო საგნისა, რომ ამ საგანს ნათელი მოეფინოს და არ ემსგავსოს იმ საარაკო ურემს, რომელიც გედმა, კიბომ და თევზმა ცოტაც არის ვერ გაიგორეს?

გიორგიძე

ფხიზელნი არიან მარდი და რიგიანი მოწეს-რიგენი, არამედ ისეთი თვისებაცა აქვთ, რომელიც აუცილებლად საჭიროა დიდის მამულისა და ოჯახის პატრონისთვისო.

ეს დიდად პატივსაცემი თვისება ის არის, რომ ჩერქეზის ათისთავნი, გარდა იმისა, რომ არასოდეს არ იშორებენ წელზედ ხანჯალს, კარგი მომსხო მათრახიც ხელში უჭირავთ, რომლითაც მუშა ხალხს ადვილად აგრძნობინებს წესიერებასა და მორჩილებას".

კაცი იფიქრებს, რომ ეს ამბავი ბიჩერ-სტოუს რომანიდგან არის ამოწერილიო ამბობს გაზ. „Р. Ж.", მაგრამ ყოველი ესე „ხარკოვის გუბ. უწყებებში" დაბეჭდილიო.

## რუსეთი

—

პეტერბურგის გაზეთებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ წლევანდელ ხოლერის შესახებ, რომელიც ასე გამძვინვარებულია წელს პეტერბურგში. „Новости"-ის სიტყვით, „უკანასკნელ სამ წელიწადს შორის წრევანდელი წელიწადი მეტად სასტიკია, ცნობები შევკრიბეთ და ციფირებით აღმოჩნდა, რომ პირველ წელიწადზედაც-კი, როცა ხოლერა გაჩნდა, წრეულს უფრო მძვინვარებს ხოლერაო".

პეტერბურგში პირველ დღიდგანვე (19 ივნისი) ხოლერა თანდათან ძლიერდება. 1892 წელს დღეში ავად ხდებოდა 155 და 156 (აგვისტოს 16-დგან 17-მდე და 17-დგან 18 დე) ამ ზაფხულს-კი, ჩვენდა სამწუხაროდ, 171 და 218 ხდება ავად დღეში; სიკვდილიდაც ძალიან ბევრი იხოცება, 69 კაცი დღეში. პირველ ორ კვირას 19 ივნისიდგან 3 ივლისს 12 საათამდე სულ ავად გამხდარა, 1174 კაცი და ამათ შორის 145 გარდაცვლილა.

### უსახელო «დახოსების» გამო

—

„ვოლინის" გაზეთში გამოცხადებულია ბ ნ გუბერნატორის განკარგულება, წარგზავნილი მომრიგებელ-მოსამართლეებსა და პოლიციის უფროსებთან იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციას აუარებელი „დანოსები" მოსდისო. „დანოსები" იწერება არა მარტო უმეცართა და მხოლოდ ანბანის მცოდნე გლეხთა და მოქალაქეთაგან, არამედ ისეთთაგან, რომელნიც ხშირად გონება განვითარებულნიც არიან, შეძლებულნიც და კარგი ადგილიც უჭირავთ საზოგადოებაშიო.

„დანოსების" წერა საზიზღარია და მისი მიზეზი თითქმის ყოველთვის ბინძური განზრახვაა—ანგარებით, გამოტყუებით, ე. ი. შანტაჟით, პირადის მტერობით, შურის ძიებით და სხ. და სხ... ყოველს შემთხვევაში „დანოსის" შემთხველს არა აქვს სამოქალაქო მხნეობა და ვერა ჰბედავს აშკარად გამოაქვეყნოს ბოროტმოქმედება. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღმოვფხვრა რწმუნებულს ჩემდამო გუბერნიაში ეს სამწუხარო ჩვეულება „დანოსის" წერისა, რომლისთვის ყოველის კანონის მიერ მინიჭებულს უფლებას გამოვიყენებ და ვსთხოვ ყველა ჩემ ხელ-ქვეით მოხელეთ, ისინიც ამ გვარადვე მოეკიდნენ ამ საქმეს".

შემდეგ ამ განკარგულებაში ნაჩვენებია საშუალება „დანოსების" მოსპობისა და დასასრულ ბ-ნი გუბერნატორი ასე აბოლოვებს თავის განკარგულებას:

„თუ მთავრობა და სამართალი მტკიცედ და კანონიერად იქნება წარმართული და თითოეული მოხელე თავის მოვალეობას წესიერად შეასრულებს, დარწმუნებული ვარ ხალხი გადაეჩვევა წერას უსახელო „დანოსებისას", რაიცა იმისი ნიშანია, რომ ხალხს ოდესმე შავს დროს მონების ულელი სდგმია კისერზე გარეშე ტომისაო".

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** თითქმის ყველა ნათესავი კაზერიოსი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მკვლელისა სულით ავადმყოფი ყოფილა. კაზერიოს მამას ავი ზნე და ბნედა ემართებოდა თურმე, მისი ორი ბიძა ბილანის საავადმყოფოში იყვნენ დამწყვდეულნი სიგიჟის გამო; მესამე ბიძაც საგიჟეთში გადაიცვალა. 1892 წელს ბიცოლა კაზერიოსი დაამწყვდიეს საგიჟეთში სულით ავადმყოფობისა გამო. ავადმყოფს განდიდების (mania grandiosa). სენი სჭირს და უიმედო ავადმყოფია.

—

„Daily News" ამბობს, რომ ხოლერის აცრის სარგებლობა ნამდვილად დაამტკიცა ექიმმა ხავკინმა ინდოეთშიო.

### შემოწირულებანი

—

ჩვენ მოგვივიდა ქ. პიატიგორსკში შეკრებული ბ-ნ ვარლამ გომელაურის მიერ 28 მან. და 10 კაპ. ამ შემოწირულობის ერთი ნახევარი, შემწირველთა სურვილისამებრ, უნდა მიემატოს სალიტერატურო ფონდს, ხოლო მეორე—შოთა რუსთაველის ძეგლისას. სალიტერატურო ფონდისა გვქონდა 671 მან. 19 კაპ., ამიანად შესდგა 685 მან. 24 კაპ., შოთა რუსთაველის ფონდისა გვქონდა 1034 მან. 27 კაპ., ამიანად შესდგა 1038 მან. 32 კაპ. მოგვყავს აქავე სია იმათი, რომელთაც ეს 28 მან. და 10 კაპ. შემოუწირავთ:

თავადმა ნიკო ლევანის ძემ მელიქოვმა 3 მ., თავადმა იოსებ დიმიტრის ძემ ვაჩნაძემ 2 მ., მიხეილ ღლონტმა 2 მ,, კნეინა სალომე ვაჩნაძისამ 1 მ., კნიაჟნა ოლა ვაჩნაძემ 1 მ., კნიაჟნა ელენე ვაჩნაძემ 1 მ., ეკატერინე კლადნიცკისამ 1 მ., ვარლამ გომელაურმა 1 მ., ნიკო თავდგირიძემ 1 მ., დავით ფარემუზოვმა 1 მ., არტემ არუთინოვმა 1 მ., ფირუზ კანდელაკმა 1 მ., სოფია ყარანგოზიშვილისამ 1 მ., სპირიდონ ჩიტაშვილმა 1 მ., იოსებ დოლენჯოვმა 1 მ., მიხეილ ყაყაჩოვმა 1 მ., მიხეილ ავაქოვმა 1 მ., თავადმა როსტომ წერეთელმა 1 მ., კნეინა ნინა თუმანოვისამ 1 მ., ნიკო ქავთელაძემ 1 მ., სიმონ მესხმა 50 კ., გიორგი პაპუნაშვილმა 50 კ., დიმიტრი ზულიაშვილმა 50 კ., გიორგი მესაბლიძემ 50 კ., იაგორ ზუმფალოვმა 50 კ., სარდიონ ცერცვაძემ 50 კ., სარქის გასპაროვმა 50 კ., დავით ხურუმოვმა 30 კ., მიხეილ მამისაშვილმა 20 კ., იაგორ მოხევემ 10 კ.

### პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $190^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | $101^3/_4$ | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — ,, | — ,, |

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა,

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ჟ. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ამხანაგობა
„ჯანმრთელობისა"
სუნელოვანი
ხიმიკური-წმინდა
ბრინჯის უმარილი
(პუდრა).
ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.
ნარდად შეიძლება ყიდვა:
ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.
ს.-პეტერბურგი. ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.
მოსკოვი, ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.
ვარშავა, „ნოვი სვეტში", 37.

ლექსები
თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.
(10—1420—6)

სასაპარელო ესსენცია კოლბერისა
(Essence de Salsepareille Colbert)
საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად
იარლიკზე უნდა იყოს ამოჭდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი
რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა" (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტურბინები
წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.
В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рот.



„ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ით საათიდგან პირველ ათა დე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою Тифлисъ, 11-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.